| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მეტეოროლოგია , კლიმატოლოგია |
| აკადემიური განათლების საფეხური | მაგისტრატურა (II საფეხური) |
| საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი | აკადემიური |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | გეოგრაფიის მაგისტრი |
| სწავლის ხანგრძლივობა | ორი აკადემიური წელი (4 სემესტრი) |
| ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა | 120 კრედიტი |
| პროგრამის ხელმძღვანელი | გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელიზბარ ელიზბარაშვილიტელ: 825071470, 832235805, 899735886, eelizbar@hotmail.com<br><br>გეოგრაფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი იზოლდა ჭინჭარაშვილი ტელ: 825070700, 899239353, iza709@mail.ru |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები | მომზადდეს ახალი თაობის მეცნიერი, მაღალკვალიფიციური მკვლევარი, რომელსაც შეეძლება საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენტუნარიანი იყოს ქვეყნის და რეგიონის წინაშე დასახული უმნიშვნელოვანესი გეოგრაფიული და გეოეკოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად. |

| | | | |
|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები | ცოდნა და გაცნობიერება | სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს; | მეცნიერების თანამედროვე მიღწევების საფუძველზე, ატმოსფეროსა და კლიმატის კვლევა, ატმოსფერული პროცესების სინოპტიკური ანალიზი, სტიქიური მოვლენების-თავსხმა ნალექები, სეტყვა, გვალვა, გაუდაბნოება და ა.შ. შეფასებას. აცნობიერებს კლიმატის ცვლილების პრობლემებს და მის |

| | | |
|---|---|---|
| | | მოსალოდნელ შედეგებს, ატმისფეროში მიმდინარე ეკოლოგიურ ცვლილებებს. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; | შეუძლია მეტეოროლოგიის და კლიმატოლოგიის დარგში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება. მიღებული ცოდნის პრაქტიკული მნიშვნელობა ძალზე დიდია ქვეყნის ეკონომიკის ყველა დარგის დაგეგმარებისა და მდგრადი განვითარებისათვის: |
| დასკვნის უნარი | რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; | შეუძლია მიღებული შედეგების საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, უმნიშვნელოვანესი დასკვნების გამოყოფა, ახალი გეოგრაფიული კანონზომიერებების გამოვლენა. |
| კომუნიკაციის უნარი | თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და | პროფესიულ დონეზე შეუძლია შეძენილი ცოდნის წარმოჩენა თემატურ დისკუსიებში ჩართვა. |

| | | |
|---|---|---|
| | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით | |
| სწავლის უნარი | სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე; | დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა. |
| ღირებულებები | ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. | უნარი შესწევს წვლილი შეიტანოს ახალ ღირებულებათა დასამკვიდრებლად. |

**სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა**

**შეფასების 100% გადანაწილდება შემდეგი სახით:**

შუალედური შეფასება _ მაქსიმალური 60%

მათ შორის: 2 წერითი სამუშაო – 30% (15% X 2).

პირველი წერა სემესტრის I ნახევარში, მეორე – სემესტრის ბოლოს. წერის თარიღსა და თემატიკაზე სტუდენტები წინასწარ იქნებიან ინფორმირებულნი.

4 სემინარული მეცადინეობა _ 20% (5% X 4).

ეს 20% უნდა დაგროვდეს მთელი სემესტრის განმავლობაში სემინარებზე მონაწილეობით.

1 ზეპირი პრეზენტაცია _ 10%.

საპრეზენტაციო თემას სტუდენტები შეარჩევენ საკუთარი სურვილით გავლილი თემატიკიდან, ხოლო პრეზენტაციის თარიღსა და დროს შეათანხმებენ პროფესორთან.

დასკვნითი გამოცდა _ მაქსიმალური 40%

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება, როგორც წესი, წერითი სახით.

სტუდენტმა შუალედური შეფასების კომპონენტებით უნდა დააგროვოს სულ მცირე 11 ქულა, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. თუ შუალედური შეფასების კომპონენტებით დააგროვა 51 ქულაზე მეტი, შეუძლია არ გავიდეს დასკვნით გამოცდაზე და ისე მიიღოს შესაბამისი კრედიტი.

შეფასებები არსებობს შემდეგი სახის:

ა) (A) ფრიადი _მაქსიმალური შეფასება 91% და მეტი

ბ) (B) ძალიან კარგი _ მაქსიმალური შეფასების 81-90%

გ) (C) კარგი _ მაქსიმალური შეფასების 71-80%

დ) (D) დამაკმაყოფილებელი _ მაქსიმალური შეფასების 61-70%

ე) (E) საკმარისი _ მაქსიმალური შეფასების 51-60%

უარყოფითი შეფასებებია:

ა) (FX) ვერ ჩააბარა _ მაქსიმალური შეფასების 41-50% (აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)

ბ) (F) ჩაიჭრა _ მაქსიმალური შეფასება 40% და ნაკლები (საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

**სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შეფასების კრიტერიუმი:**

შეფასება 100 ქულა განაწილდება შემდეგი სახით:

თემის აქტუალობა-მაქსიმუმ 15 წულა

ნაშრომის ლოგიკურობა-მაქსიმუმ 15 ქულა

ნაშრომის სტრუქტურირება-მაქსიმუმ 10 ქულა

ნაშრომის გაფორმება- მაქსიმუმ 15 ქულა

ნაშრომის პრეზენტაცია- მაქსიმუმ 25 ქულა

კითხვებზე პასუხის გაცემა-მაქსიმუმ 20 ქულა.

| ქულების განაწილება | შეფასება |
|---|---|
| 91-100 | ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი |
| 81-90 | ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ |
| 71-80 | კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება |
| 61-70 | საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს |
| 51-60 | (დ დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ აკმაყოყილებს |
| 41-50 | არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვ ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს |
| 0-40 | სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთ ვერ აკმაყოფილებს. |

**ქულების განაწილებაშეფასება**

**დასაქმების სფერო**

- საგანმანათლებლო, სამეცნიერო ორგანიზაციებში, ყველა იმ სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც კლიმატოლოგს საჭიროებს. მისი მოღვაწეობის ძირითად ობიექტებს წარმოადგენს: ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურები, გარემოსდაცვითი ორგანიზაციები, სატყეო მეურნეობები, ეროვნული პარკები, საპროექტო და საამშენებლო ორგანიზაციები.